ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელისმოწერა მიიღება.

თფილისს „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სარგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира*

№ 2 შაბათი — 30 იანვარს, 1872 წ.

შინაარსი:

სასამართლო ცნობები.—სამეცნიერო ნაწილი: დედა-მიწა.—საექიმო ნაწილი: გადამდები ყვავილი.—შეიძლება პირუტყვებით მიიგოს კაცმა როგორი დარი იქნება?—სახელმწიფო რჩევის აზრი: მმართებლობის განკარგულება.

### სამოსამართლო ცნობები.

ჩვენი სამოსამართლოები განიყოფებიან: მომრიგებელ დაწესებულებათ და საზოგადო სამჯავროებათ. მომრიგებელი დაწესებულებანი არიან: მომრიგებელი სასამართლო (მიროვოი სუდი). საზოგადო სამსჯავროები არიან შემდეგნი: ოლქის სასამართლო (ოკრუჟნოი სუდი). სამჯავრო პალატა (სუდებნაია პალატა) და ორი კასაციონი (შესამოწმებელი) დეპარტამენტები.

## მომრიგებელი სასამართლო.

როგორი საქმეები ირჩევიან მომრიგებელ მოსამართლესთან? მომრიგებელ მოსამართლეს რჯულისამებრ აქვს უფლება გაარჩიოს შემდეგი საქმეები: 1) დავა ფულზე, ხუთას მანეთზე ზევით თუ იქნება დავა ფულზე, მაშინ ამას აღარ შეუძლიან გადაწყვეტა. 2) შეუძლიან დანახარჯის გადახდევინება, მაგრამ ხუთას მანეთ ზევით ვერ გადაახდევინებს. 3) გაარჩევს აგრეთვე საჩივარს უპატიურობაზე (შეგინებისთვის). მაგ. გალანძღვისთვის და სხ., 4) მოხდენა ხოლმე ისე, რომ ვისიმე მამული სხვას უჭირავს, სხვა სარგებლობს და იჩემებს; მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლიან ეს მამული დაუბრუნოს უწინდელ პატრონს, თუ მამული ექვს თვეზე მეტი არა სჭერია სხვას, და 5) გაარჩევს იმ დანაშაულობას (ბრალდებულებას), რომლისთვისაც მოსამართლე მისცემს საყვედურს, შენიშვნებს, დარიგებებს და ფულსაც გადაახდევინებს, მაგრამ სამას მანეთზე მეტს ვერ გადაახდევინებს; დაატუსაღებს სამ თვემდინ და საპყრობილეში ჩასვამს ერთ წლამდის, მეტი კი აღარ შეუძლიან. მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლიან აგრეთვე გაარჩიოს ყველა გვარი დავა და სამოქალაქო თხოვნა, თუ ორთავე მოდავე მხარეები სთხოვენ მოსამართლეს საინდისიანოთ საქმის გარჩევას, და აგრეთვე შეუძლიან მოდავეების შერიგებით გაასწოროს იმისთანა საქმეები, რომლებისთვისაც დანიშნულია უფრო სასტიკი სასჯელი, ვინამც იმათზე, რომლებიც ჩამოვთვალეთ, თუ ის საქმეები დაწყებულია თვით იმათგან, რომლებმაც დაითმინეს ზარალი ანუ სხვა რაიმე ვნება. გარდა ამისა მომრიგებელი მოსამართლეების უწყებას ეკუთვნიან: დაბეჭდვა და შენახვა ყველა გვარი სამკვიდრებელისა, მოწოდება მემკვიდრეთა, დამკვიდრება იმათზედ სამკვიდრებელისა და გაყოფა მოძრავი საქონელისა, ხუთას მანეთზე ზევით ვეღარ ავა, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ. უფლება მაზრის (უეზდის), მომრიგებელი მოსამართლისა შეეხება მხოლოდ იმ მაზრას (უეზდს), სადაც ის არის დანიშნული. (სუდებნი უსტავი სტატია 29. 1401 1403. 1408. 1409. წეს. სისხ. სამ. სტ. 33 35).

ყველა საქმეებს არჩევს მომრიგებელი მოსამართლე სიტყვიერად, ესე იგი, ჩვეულებისამებრ ილაპარაკებს; გაარჩევს სახალხოდ. ცალკე კარებ დაკეტილში გაარჩევს მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მოდავეები სთხოვენ მოსამართლეს, რომ მათი საქმე არ გაქვეყნდეს; დაკეტილში ირჩევა კიდევ ქალის გაუპატიურობაზე საჩივარი და

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რ. ბიბლიოთეკა

ხვა და სხვა სასირცხვილო საქმეები. (სამჯ. წეს. სტ. 65. წეს. სას. სტ. 68, 88—89).

თხოვნების მიცემა. თხოვნა ანუ საჩივარი რაზედმე უნდა მისცეს იმ მომრიგებელ მოსამართლეს, სადაც ცხოვრობს მოჩივრის მოპასუხე ან სადაც მოხდა დანაშაულობა (ბრალეულობა). თხოვნა, საჩივარი შეიძლება მისცეს მოსამართლეს დაწერილი და შეიძლება პირათაც უამბოს ანუ მისცეს სიტყვიერი საჩივარი მოჩივრის ლაპარაკის დროს. მომრიგებელი მოსამართლე ან იმის მწერალი სწერს ქაღალდზე და მერე მოსამართლე წაუკითხებს მოჩივარს. იმ ქაღალდზე იმან უნდა ხელი მოაწეროს, თუ წერა იცის, როგორც დაწერილში ისე სიტყვიერ თხოვნაში უნდა იყოს მოხსენებული წოდება, სახელი, ალაგი, გვარი ვიზედაც საჩივარია შეტანილი, აგრეთვე უნდა მოხსენებული იყოს სახელი და წოდება მოწმებისა და მეპასუხესი; უნდა იყოს მოხსენებული ბრალდებულის მოქმედება, დრო და ალაგი, სადაც ეს მოქმედება მოხდა, უნდა იყოს მოხსენებული გამტყუნებულისაგან რაც ვნება და ზარალი მოუვიდა, აგრეთვე დამტკიცებები თხოვნისა, თვისი საჩივრისა, წელიწადი, თვე და რიცხვი თხოვნაში. იმათ, რომელთაც ცუდი მოქმედებისაგან ევნებათ რამე, შეუძლიანთ გამოაცხადონ პოლიციაში. პოლიცია დანიშნავს გამომიებას და რაც შედეგები ექნება ამ გამომიებას, წარუდგენს მომრიგებელ მოსამართლეს. (*ст. гр. суд.* 46. 51. 52. 54. 68. *уг. суд. ст* 45 46. 48. 49).

დამტკიცებანი თხოვნისა. რომ წარუდგენს არზას, მთხოვნელმა მომრიგებელ მოსამართლეს უნდა დაუმტკიცოს მისი სიმართლე, აგრეთვე ბრალდებულმაც უნდა თავისი თავი დაიცვას, თავის მხრივ უნდა ეცადოს, რომ დაუმტკიცოს ბრალდებულს თავისი სიმართლე. დასამტკიცებლად შეიძლება: მოწმების ჩვენებანი, ბარათები, პირობის და სხვა ქაღალდები, გატყდომა შეცთომილებაში და აგრეთვე დაფიცება; გარდა ამისა თითონ მოსამართლეს შეუძლიან გაშინჯოს ის ალაგი, სადაც მოხდა ბოროტი მოქმედება. მოწმად წაიყვანს ვისაც უნდა, მაგრამ ნათესავებს ვერ დაიმოწმებს, რადგან ისინი ცუდს არ მოინდომებენ თავის ნათესავისთვის. აგრეთვე არ შეიძლება მოწმად აყვანა გიჟებისა, არ მიიღებენ მოწმად შვილებს მშობლების წინააღმდეგ, სასულიერო პირებს, დამცველებს, განდევნილებს ეკლესიისაგან და იმ პირებს, რომლებსაც ჩამორთმეული აქვს სჯულის მალით წოდება, დირსება და მამული. (*епт гр. суд.* 81—124. *уст. уг. сут. 93. 95. 99*).

ვექილები. მოჩივარი მიართმევს მომრიგებელ მოსამართლეს ან თითონ და ან თავის მაგივრად დაიჭერს ვექილს (მის მაგიერს პასუხის მგებელს). ვექილი, რომელსაც ვაბარებთ ჩვენ საქმეს, უნდა იყოს სრული წლოვანი; რომ—როგორც ჩვენში იტყვიან--სიტყვა დაეჯერებოდეს; ვექილად არ აიყვანებიან მოხუცებულნი (გარდა იმ საქმისა, რომელიც შეეხება მონასტერს,) და ის პირები, რომლებიც რჯულისაგან დასჯილნი ყოფილან ცუდ საქმეზედ. ვექილს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქმის წაყვანა მომრიგებელ სასამართლოში, შეუძლიან დაასრულოს საქმე მშვიდობიანად, თუმცა მოხსენებული არ იქნება ამაზე რწმუნების წერილში, იმას შეუძლიან თავი დაანებოს უწინდელ საქმეს, თუ ან არ შეუძლიან და ან თუ ატყობს, რომ წააგებს, მაგრამ მეორე მხარეს (მოწინააღმდეგეს) ვეღარ დაუდგება; ამაზე იმას უფლება აღარა აქვს. თავის დანებებაზე უნდა წინ-დაწინ გამოუცხადოს იმას, ვისგანაც ჩაბარებული აქვს საქმე. (*сут. гражд. суд. ст.* 43. 44. 46—*уест. уг. суд. ет.* 45).

გამოწოდება მეპასუხისა და მოწმებისა. მოჩივრები თავის—თავად თუ გამოცხადდებიან მომრიგებელ მოსამართლესთან, მაშინ მოსამართლეს აქვს სრული ნება გაარჩიოს დავა; თუ ერთი მოჩივარი გამოცხადდება, მაშინ მოსამართლე გაგზავნის უწყებას (შესატყობინებელ ქაღალდს) მეპასუხესთან და აგრეთვე მოწმებსაც მოუწოდებს. უნდა გამოცხადნენ უთუოდ იმ ვადაზედ, რომელიც არის აღნიშნული უწყებაში. ის ან თითონ უნდა გამოცხადდეს და ან თავის მაგივრად ვექილი გაგზავნოს, თუ ის თავის მაგივრად ვექილს გამოგზავნის, მაშინ უწყებაზე დანიშნავს იმას და წარმოუდგენს მომრიგებელ მოსამართლეს. უწყების მიღების შემდეგ მეპასუხეს და მოწმებს ერთი დღის დაგვიანების მეტი აღა შეუძლიანთ, თუ სასამართლო ალაგამდი თხუთმეტი ვერსია. მოწამეს გადაახდევინებ დროზე გამოუცხადებლობის გულისთვი შტრაფს ოციდგან ოცდა ხუთ მანეთამდი, თუ კარგ მიზეზებს არ წამოუდგენ. მოწამეს, რომელსაც დროზე გამოუცხადებლობისთვის შტრაფის გარდახდას გამოუცხადებენ, მაშინ აქვს ნება ორი კვირი განმავლობაში წარმოუდგინოს მომრიგებე მოსამართლეს გასამართლებელი ქაღალდ იმაზე, რომ ის მართალია, რომ ის პატივსაცემი მიზეზისაგან დაბრკოლდა და დროზ ვერ გამოცხადდა, მომრიგებელი მოსამართლე გაშინჯავს ამ ქაღალდს და თუ მართლად დაინახავს, გაანთავისუფლებს შტრაფისაგან. მოწმებს, რომლებიც ცხოვრობენ სხვა მაზრაში, მალიან შორს იმ ადგილზე, სადაც ირჩევა იმათი შესახები საქმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰკითხავს ის მომრიგებელი მოსამართლე, სადაც ისინი ცხოვრობენ. (*Уст. гр. суд. ст. 58—67. уст. уг. суд. ст. 54—72*).

**გარჩევა საქმისა მომრიგებელ მოსამართლისაგან.** საქმის გარჩევის დროს მომრიგებელი მოსამართლე ჯერ უნდა ეცადოს, რომ როგორმე შეარიგოს მოჩივრები. თუ ვერა-და-ვერ მოახერხდება ეს საქმე, მაშინ იმან უნდა გაარჩიოს საქმე სვინდისიანათ, როგორც რჯულებშია, ისე კადასწყვიტოს. კოპიო ანუ ამ გადაწყვეტილობის პირი მომრიგებელმა მოსამართლემ არ უნდა მისცეს სამ დღეზე გვიან შემდგომ თხოვნის მიღებისა. გარდაწყვეტილობა მომრიგებელი მოსამართლისა, რომელშიაც მან აჩვენა შენიშვნა, საყვედური, დარიგება, აგრეთვე ფულის გადახდევინება თხუთმეტ მანეთამდინ და დატუსადება სამ დღემდინ—არა სამ დღეზე მეტი—არ უნდა წავიყვანოთ აპელაციურის წესით, ესე იგი არ უნდა ვიჩივლოთ, რომ მოსამართლემ უკანონოთ გაარჩივა საქმე. იმათზე ჩივილი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მან არ აასრულა, ანუ არ დაემორჩილა რჯულებს და უსვინდისოთ ანუ მიდგომით განსაჯა საქმე. მომრიგებელი მოსამართლე წაუკითხავს გარდაწყვეტილებას იმ პირთ რომელნიც საქმეში ურევიან და გამოაცხადებს: როგორ შემთხვევებში, რა ვადაზე და როგორი წესით უნდა იჩივლოს იმან ამ გარდაწყვეტილობაზე, ამასთანავე შენიშვნას მისცემს, რომ თუ იმათ სურთ სხვა ალაგას ჩივილი, მაშინ იმათ უნდა ოცდაოთხი საათის განმავლობაში გარდაწყვეტილობის გამოცხადებიდგან გამოაცხადონ ამაზე; თუ ამ ვადას გადავლენ, მაშინ ჩივილი აღარ შეუძლიან და უწინდელი გარდაწყვეტილება დარჩება სამუდამოთ. (*Уст. гр. ст. 119—132. уст. гражд. суд. 129—144*).

თუ მეპასუხე დანიშნულ მომრიგებელი მოსამართლესაგან ვადაზე არ გამოცხადდება, მაშინ მოსამართლეს აქვს ნება შეადგინოს უიმისოთ გარდაწყვეტილება. თუ თითონ მოდავე არ მოვა, მაშინ მოსამართლე სრულებით შესწყვეტავს საქმეს; მოდავეს ისევ შეუძლიან შემდეგში, როცა უნდა, საჩივარი ისევ გაახლოს. სასისხლო საქმეებში კი, თუ ბრალდებული არ გამოცხადდება თავის დანიშულ ვადაზე და არ წარმოადგენს შესაწყნარებელს მიზეზებს, რომლებმაც ის დააბრკოლეს, მაშინ მომრიგებელ მოსამართლეს ნება აქვს აღარ მიიღოს და უკან დააბრუნოს მისი საჩივარი, თუ ეს საქმე მშვიდობიანათ არ დაბოლოვდება, ან კიდევ ბრალ-მდებელს გადუწყვეტავს შტრაფს ოცდა ხუთ მანათის და ახალ ვადას დაუნიშნავს. უმეპასუხოთ გარდაწყვეტა საქმისა მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც აქვს ყველა სჯულიერი დამტკიცებანი მოპასუხის ბოროტ—მოქმედებაზე და ამ გარდაწყვეტილობის კოპიოს (პირს) გაუგზავნის მოპასუხეს უწყებასთან. მოპასუხეს ორი კვირის განმავლობაში შემდგომ იმ გარდაწყვეტილობის კოპიოს მიღებისა რომლის გარდაწყვეტის დროსაც ის იქ არ დაესწრო, შეუძლიან გამოცხადდეს მომრიგებელ მოსამართლესთან და სთხოვოს, რომ მან მ უწოდოს იმას, ვინც იმაზე საჩივარი შეიტანა და ხელ-ახლა გაშინჯოს და გადასწყვიტოს საქმე. თუ მეპასუხე არც მეორე ვადაზე გამოცხადდება, მაშინ მომრიგებელი მოსამართლე მეორეთ შეადგენს უიმისოთ გარდაწყვეტილობას, რომელზედაც მეპასუხეს აღარ შეუძლიან შეიტანოს პასუხი. როგორც მოჩივარს, ისე მეპასუხესაც აქვთ ნება იჩივლონ ოლქის სასამართლოში შემდგომ იმ გარდაწყვეტილებისა, რომლის დროსაც ისინი არ დაესწრნენ (*Уст. гр. суд. 145—155. уст. уг. суд. 133—141*).

---

(სამეცნიერო საწავლა).

## დედა-მიწა.

მთელი დედა-მიწა შეადგენს სამოცდახუთ მილიონ თექვსმეტი ათასს კვად. საჟ.. სამი მეოთხედი ამ ნაწილისა სულ წყლით არის დაფარული, ერთი მეოთხედი კი შეადგენს ხმელეთს ე. ი. მაგარს, გამხმარ მიწას. წყალი ხმელეთზე ბევრია, ის დედა-მიწას გარშემო უვლის და რამდენსამე ნაწილად ჰყოფს მას. დიდ ხმელ ადგილებს ეძახიან მატერიკებს და პატარეებსა კუნძულებს. კუნძული არის იმისთანა ადგილი, რომელსაც გარშემო სულ წყალი არტყია. ქვეყანა ისე დიდია, რომ ერთი თვალის შეხედვით სუყველა მხარეებს, ანუ კუთხეებს, რასაკვირველია, ვერ შევნიშნავთ. რომ უფრო კარგათ გაშინჯონ ყოველი მხარე დედა-მიწისა, ამისთვის ხატამენ სქელ ქაღალდზედ იმას და ორ ნაწილად ჰყოფენ; მაგ. ავიღოთ ვაშლი: ვაშლი რგვალია; გასჭრი და ორ თანასწორ ნაწილად გაიყოფა; დედა-მიწაც ასეთია. ერთ ნაწილს ჰქვიან ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ქვეყანა და მეორეს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ა. აღმოსავლეთის ქვეყანა, ანუ ნახევარ-ქვეყანა, ყველაზე დიდია სივრცით; აქ არის სამი ნაწილი ქვეყნისა: ევროპა, აზია და აფრიკა. ამ მატერიკს ჰქვიან ძველი ქვეყანა, იმიტომ რომ ეს ძალიან დიდი ხანია, რაც ხალხმა იცის. დასავლეთის ქვეყანაში არის ამერიკა; ამას ჰქვიან ახალი ქვეყანა, ამიტომ რომ არ არის დიდი ხანი, რაც ის გაიცნო ანუ იპოვა ხალხმა: სამას ოთხმოც და ათი წელიწადი იქნება მას აქეთ. ყველაზე პატარა მატერიკი ავსტრალიაა.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ ოდესმე დედა-მიწა იყო ცეცხლიანი და—გამდნარი; მაშინ ქვეყანა ძალიან ჩქარა ტრიალობდა თავის ღერძის გარშემო, ამ ჩქარი ბრუნვის გამო დედამიწიდგან სიცხოვლე ცეცხლისა გამოდიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ის ნელა-ნელა ცივდებოდა. შემდეგში სულ ერთიანათ გაცივდა, გაიყინა და გაკეთდა მაგარი ქერქი დედა-მიწისა, რომელზედაც ეხლა ჩვენ ვცხოვრობთ. ეხლაც მიწის ქვეშ არის საშინელი ცეცხლი; ამ ცეცხლისაგან გამდნარია სუყველა ფერი, რაც კი იქ იპოვება: ქვები, რკინეულობა და სხ. ამ გამდნარმა, ცეცხლის შეკრებულებამ თავისის ძალით ზოგან და ზოგან გახეთქა, ამოგლიჯა მიწის ქერქი და გაკეთდა მთები; ზოგან კიდევ ალაგმა ამავე ცეცხლის ძალით დაიწია, ჩაღრმავდა, ამისათვის ამ ჩავარდნილს ალაგებში მაღალი ალაგებიდგან ჩამოვარდა წყალი და ამ სახით ხმელეთმა და წყალმა მიიღეს ის სახე, რომელიც აქვთ იმათ ეხლა. ამის დამტკიცებეები ბევრი აქვს მეცნიერებას; მაგ. მადნების მთხრელები, რომლებიც სთხრიან მიწას ძალიან ღრმათ, ამტკიცებენ, რომ რამდენიც ქვეითა და ქვეით მიდიან თხრით მიწაში, იმდენათ ჰაერი უფრო თბილია. შემდეგ თვით მსწავლული კაცებიც ჩავიდნენ ამ ამოთხრილებში, ჩაიტანეს სითბოს მაჩვენებელი იარალი და გაიგეს, რომ რამდენი ვერსიც ძირს მიწაში მიდიოდნენ, იმდენი სითბოს მაჩვენებელ იარალზე სითბო ორმოც ჭდეზე ადიოდა. ორმოცდა ათ ვერსზე მიწაში სიცხე ისე დიდია, რომ ორი ათას ჭდემდინ ავა სითბო. ეს სითბო ორჯელ მომეტებულია იმაზე, რომელიც საჭიროა თუჯის გასადნობათ. დედა-მიწის ზურგიდგან მიწის გულამდინ ექვსი ათასი ვერსი ითვლება, მაშასადამე იქ ისეთი სიცხე იქნება, რომ კაცი ვერას დროს ვერწარმოიდგენს. გარდა ამისა, იმას რომ დედა-მიწის გულში არის ცეცხლი, რომ იქ ყველა ფერი გამდნარია, გვიმტკიცებენ ცეცხლიანი მთები, მიწის ძვრა, ცხელი წყლები და სხ. ამ გვარები.

ყველა შენიშნავდა, რომ ქვაბში რომ წყალი ჩავასხათ და ცეცხლზე შემოვდგათ, წყალი დიდის სითბოსაგან ადუღდება და ამისგამო ორთქლი ამოდის. თუ ქვაბს ძიელ მაგრა არ დავხურავთ, მაშინ ორთქლები მოაწვებიან და სახურავს ასწევენ, და თუ მაგრა დავხურავთ, მაშინ ისეთი ძალიან მოაწვებიან შიგნიდგან ორთქლები, რომ რაც უნდა მაგარი ქვაბი იყოს გახეთქავს. მიწის გულშიც სწორეთ ასე ხდება: იქაც ასე კეთდება ძალიან ბლომათ ორთქლები, რომლებიც ისეთი ღონივრად მოაწვებიან გარეგან მიწის ქერქს, რომ რამდენსამე ადგილას ამობერამენ მიწას და გაკეთდებიან მთები, ხანდისხან ისეთი დიდი ძალა ადგია ქვეიდგან მიწას, რომ მთების შუაგულს ამოგლეჯენ, გადმოსკდება ამოვარდება ორთქლები — ერთი სიტყვით ყველა ის ნივთები, რომლებიც მიწის გულში გამდნარნი არიან. ამნაირ მთებს ეძახიან ვ უ ლ კ ა ნ ე ბ ს, ანუ ცეცხლის მთებს. ამ მთების წვერები გახსნილებია და მილივით მიდის ქვევით გახვრეტილი თითქმის იმ ადგილამდის, სადაც ცეცხლია. ამ მთებიდგან ცეცხლის ამოვარდნა ყოველთვის არ არის ხოლმე: როდესაც მიწის გულში ბლომად მოგროვდება ცეცხლი, მაშინ ამოვარდება. ცეცხლის ამოვარდნის წინათ მიწა მთის ახლო-მახლო დაიწყებს საშინლად ქანაობას; მიწის ქვეშიდგან ისმის ხრიალი და ბღუილი. მერე მთის ხვრეტილში ამოვარდებიან ორთქლები, რომლებიც თან ამოიტანებენ გამდნარ ნივთიერებებს: ქვებს, ფერფლს, ქვიშას; გაფანტვენ აქეთ-იქით. რასაც მოხვდება სულ ერთიანად წალეკამს და.გაადნობს. ხეებს, ნათესს, შენობებს. ფერფლი და ქვიშა, რომლებიც ქვებს და რკინეულებეებს თან ამოზდევენ, წვიმასავით მოესხმის და რასაც მოხვდება სულ ერთიანად ამოავდებს: ბალახს, ბუჩქებს, ხეებს. საქონელი უბალახობით შიმშილით იხოცება ხოლმე, ხალხი მირბის გადასარჩენათ ახლო-მახლო ალაგებში. დიდი ქვები, რომლებიც მთიდგან ამოდიან, ეცემიან სახლის ბანებზე და ანგრევენ. ამ დროს ისეთი ელვა და განუწყვეტლივი ქუხილია, რომ კაცს სულ თავზედ ბანალი აერევა. სოფლები, ქალაქები და — ერთი სიტყვით ყველა, რასაც კი დაეცემა ეს გამდნარი ნივთიერება — სულ ერთიანად ილუპებიან. ამისთანა მთები ბევრგან არის. ევროპაში, მაგ. იტალიაში ქალაქ ნეაპოლის ახლო, არის ამისთანა მთა, სახელად ვეზუვი. რუსეთშიაც არის, მაგ. აღმოსავლეთის ციმბირში, მაგრამ ძალიან იშვიათად ხდება ამოვარდნა ცეცხლისა. საცა ეს მთები ბევრია იქ მიწის ძვრა ხშირად იცის. მიზეზი მიწის ძვრისა არის აი რა: ორთქლები შეიკრიბება ხოლმე ბევრი მიწის გულში, ის გაიწევს, უნდა გამოსვლა; მაშინ მოაწვება ქვეიდგან მიწას, იმტენი ძალა აღარა აქვს, რომ ზემოთ ამოვიდეს და მიწის ქერქ ქვეშ ადგილს ჩაანგრევს. ამის გამო დედა მიწა დაიწყობს ქანაობას. ამ დროს მიწის ქვეშიდგან ისმის ბღუილი და ქუხილი. ხან მოხდება ხოლმე, რომ მიწის ძრევის დროს მიწა რამდენსამე ადგილას ჩაინგრევა; ხან-და-ხან მთელი სოფლები და ქალაქები, ზემოხსენებული მიზეზების გამო, ჩაძვრებიან ხოლმე და იმათ ადგილას გაკეთდება საშინელი ხრიანცელი. მაგალ. ამერიკაში 1868 წ. იყო ისეთი საშინელი მიწის ნძვრა, რომ ოცი ქალაქი დაანგრია. 1755 წ. იყო ქალაქ ლისაბონში მიწის ძვრა ისეთი საზარელი, რომ მთელი სახელმწიფო წაახდინა და ქალაქი ხომ სულ ერთიანად გაანადგურა. მიწის ძვრას ხან მოჰყვება ხოლმე ცეცხლის ამოვარდნა, ეს რასაკვირველია ხდება იმ ადგილებში, რომლებიც ცეცხლის მთების ახლო არიან; აქაური მცხოვრებლები, როგორც კი შენიშნავენ ძრევას, ან დაინახავენ ღრუბლისავით ამოსულ ორთქლებს, მაშინვე, შიშის გამო, გაიქცევიან სადმე თავის შესაფარებლათ და თავს ანებებენ თავიანთს სარჩო-საბადებელსა. მაშინ ჰაერი ძლიერ ფუჭდება ცუდი ორთქლებისაგან, სასუნთქავათ აღარ ვარგა, კაცს ახრჩობს; პირუტყვებიც გაიგებენ ხოლმე და მაშინვე გადაცვივიან თავის შესაფარებლათ სხვა მხარეებში; ყოველგან ამ დროს მოისმის ყვირილი, ძახილი, კვნესა, ბღავილი პირუტყვთა; ამ საცოდავების ხმასა ჰფარავს დაუყრუებელი ქექა-ქუხილი, რომელიც მიწის ქვეშ ხდება.

ცხელი წყლები, რომლებიც ჩვენ მხარეშიაც არიან, მიწიდგან ამოვარდნილი ცეცხლისაგან კეთდებიან. მიწის ძვრისაგან გახეთქილ ალაგებში კეთდებიან გაზების (ორთქლების) წყაროები. ამ გახეთქილებიდგან ბლომად ამოდის ორთქლები. ხანდისხან ეს ორთქლები

მარგებლები არიან ადამიანისთვის, ხ. ნ კი ძალიან მავნებლები არიან, განსაკუთრებით თუ ბევრი ნახშირის სიმჟავე ურევია, მაგ. იტალიაში და სხვაგანაც არიან გამოქვაბული ადგილები, სადაც ისეთი ცუდი ორთქლები არიან შეგუბებულები, რომ სულიერს — კაცი იქნება თუ პირუტყვი — მოჰკლავს. ბაქოს ახლო არის იმისთანა ადგილები, რომ სპიჩკა მისცე და პატარახან დააცალო, გაჩნდება ცეცხლი. აქ არის ნავთიანი ადგილები და იმიტომ ეკიდება. ამას ეძახიან ბ ა ქ ო ს  ც ე ც ხ ლ ს. აქ, ამ ადგილზე, თორმეტი წელიწადია, რაც გამართეს ქარხანა პარაფინის შესამზადებლად (საწვავი ნივთი, რომლისაგანაც აკეთებენ სანთლებს) ამაში ხმარობენ გასახურებლათ ანუ გასათბობათ ბ ა ქ ო ს  ც ე ხ ლ ს.

ცხელი წყლის წყაროები კეთდებიან იმისაგან, რომ წყალი ჩავა დამსკდარს მიწის ქერქში იმ ადგილამდის, რომელიც საკმაოთ არის გაცხელებული და აცხელებს იქ ჩასულ წყალსაც; ეს არის მიზეზი, რომ მიწის ქვეშიდგან ამოდის ცხელი წყალი.

მიწის გულში — გავიმეორებთ — არის დაუცხრომელი, გაუქრობელი ცეცხლი და დუღილი გამდნარი ნივთებისა. მის ზევითა პირზედ კი (ქერქზე ცხოვრობენ ხალხები, ცხოველები, იზდებიან მცენარეები. არიან ახირებული, უზარმაზარი მთები, რომლებიც აგონებენ კაცს იმას, რომ მიწის ქვეშ არის ცეცხლი, რომელმაც გააკეთა — როგორც ზემოთ მოვიხსენეთ — ეს მთები. შეხედავს კაცი მთებს მშვენიერად გამწვანებულები არიან, გაუკვირდება იმათი სიდიდე და ვერ წარმოიდგენს იმ ძალას, რომელმაც ამოსწია, და ამოზერა ეს საშინელი მთები. მართლაც საშინლებია! ავილოთ მაგ. გ ი მ ა ლ ა ი ს  მ თ ე ბ ი აზიაში, რვა ვერსი არის იმათს წ ერამდინ. მთის ძირში არიან მშვენიერათ — თვალისთვის სასიამოვნოთ — მოფენილნი მცენარეები: აქ ნახავთ შაქრის ლერწმის მინდვრებს, და სხვა ურიცხვს მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ ცხელ ქვეყნებში იზდებიან. თითონ გიმალაის წვერზედ სდევს დაუსრულებელი თოვლი, საიდგანაც ჩამოდიან უხვი ნიაღვრები და აკეთებენ მდინარეებს, რომლებშიაც შესანიშნავნი არიან ორი, ძალიან დიდებთაგანნი მთელს ქვეყანაზედ, მდინარე: განგი და ინდი.

ეს გიმალაის მთები ყველაზე დიდები არიან მთელ ქვეყანაზე. ამათ გარდა სხვებიც არიან. მაგ. სამხრეთ ამერიკაში ა ნ დ ი ს მთები, რომლების წვერამდინაც ექვსი ვერსია; ჩვენი — კავკასიის მთები, რომლების სიმაღლე ხუთი ვერსია.

მთების გარდა ქვეყანაზე არიან ბევრი უმთო დაბალი ალაგები, სხვა და სხვა მცენარეებით და მშვენიერი ცხოვლებით. უფრო საკვირველი ის არის, რომ ის ადგილები დასახლებულია იმისთანა ხალხებისაგან, რომლებიც განირჩევიან დიდად ჩვენგან. ეს მშვენიერთა მშვენიერი ადგილები მცენარეებით, ცხოველებით და ხალხებით ძალიან მოშორებულებ არიან ჩვენზედ; არიან იმისთანა მხარეებიც სადაც ზამთარი არ არის, სადაც მცენარეები მუდამ ჰყვავიან, სადაც ცხოვრობენ იმისთანა ცხოველები, პირუტყვები, რომლებიც ჩვენებურებს არა ჰგვანან, სადაც ისეთ ნაირათ ცხელა, რომ მცხოვრებლები უტანისამოსოთ დაიარებიან და სიცხისაგან არ სუსტდებიან, — ერთი სიტყვით ეს გასაოცარი ადგილები არიან თვით ე კ ვ ა ტ ო რ თ ა ნ, ესე იგი, დედამიწის შუაგულს ადგილას. აქ მზე პირ-და-პირ სცემს მიწას სხივებს და ამიტომ მიწა ძალიან ცხელდება მანამ იქ, სადაც მრუდეთ ეცემიან, მაგ. ჩრდილოეთისკენ. უკიდურ ჩრდილოეთზე და სამხრეთზე მზე სწორედ ნახევარწლის განმავლობაში არ გამოჩნდება ხოლმე ცაზედ. ასე რომ იქ ნახევარ წელიწადი სულ განუწყვეტელი ღამეა და ამდენიც დღე. ესრეთ, მზის სხივების მიმართულებისგამო წარმოსდგება კ ლ ი მ ა ტ ი, ესე იგი, მხარის სითბო ანუ სიცივე, და ამასთანავე მიწის ნაყოფები. ჩრდილოეთის ზღვაზე, რომელსაც ჰქვიან ყინულის ზღვა, არის დაუსრულებელი სიცივე, დაუსრულებელი, საუკუნო ზამთარი. კაცის სახე და ტანთ-საცმელი ჭირხლისაგან იყინებიან, თითქმის არ არის იქ სიცოცხლე და მოძრაობა. მხოლოდ ისმის ხრიალი მოგლეჯილი ყინულისა. ხანდისხან გამოცოცდება ყინულზედ ზღვის ძაღლი და ხან კიდევ დაინახამ აქაურ მცხოვრებს ე ს კ ი მ ო ს, რომელიც გაფუთნულია თავიდამ ფეხამდე ცხოველების ტყავში. ხანდისხან ამ ყინულის ზღვაში მოხდება ხოლმე, რომ მოადგება გემი ვეშაპების მჭერლებისა; ვაი იმ გემს, რომელსაც აქ ქარი ამოუვარდება, მაშინ შიგ მჯდომნი ნუღარ მოელიან კეთილსა. ქარი გააქანებს გემს, აჯახებს ყინულის მთას და ეგზ შეამსხვრევს. ასეთია ყინულის ზღვა! არც ახლო-მახლო მიწებია კარგები, გამოსაყენებლები რაშიმე. თუმცა აქ არ არის იმისთანა საშიში ადგილები, რომ კაცს ავნოს მაგრამ ვერც აქ გადარჩება კაცი, — გაჰყინავს სულერთიანათ. ყინვა ზღვის და აქაური მხარის თვისებაა არ არიან აქ არც ცხოველები, გარდა ირმებისა, არ არიან მწვანე ადგილები, არ არის თითქმის სიცოცხლე.

ახლა გადავხედოთ სამხრეთს და მაგალითისთვის ავილოთ თუნდ პირველ-მყოფი ტყეები ბრაზილიაში (სამხრეთის ამერიკაში). ამ ტყეებს ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ. ჩვენ ტყეებში ვერ იპოვი იმისთანა ხეებს, რომ ორმა კაცმა ვერ შემოხვიოს ხელი; იქ, ბრაზილიაში, სულ სხვაა. იქ ისეთი ახლო-ახლო, გაბმით და სქლათ ამოდიან მცენარეები, რომ კაცი ვერ გაარჩევს რომელი შტო, რომელ ხეს ეკუთნის. ისეთი სქელი ხეებია, რომ იმათი მოჭრა შესაძლებელი არ არის (ზოგს აქვს შვიდი საჟენი სიგანე). თუ გინდ კიდეც მოსჭრან, ძირს სხვა მცენარეები არ დაუშვებენ. ჩვენ ტყეებში მომეტებულათ ერთი მწვანე ფერი აქვთ ხეებს და მცენარეებს. იქ კი, პირველ-მყოფ ტყეებში, სულ ყოველიფერი ათას ნაირით ჰყვავის, ათას ნაირათ არის აჭრელებული სხვა და სხვა ლამაზი ფერებით: ზოგან დაინახავ მწვანეს, წითელს, ლურჯს, ზოგან თეთრს, აჭროლავებულს, ზოგს აქვს გძელი და ვიწრო ფოთლები, ზოგს ფრიად განიერი და პტყელი. ისე სქლათ დგანან ხეები, ისე გადახლართულები აქვთ ერთი ერთმანეთში ტოტები, რომ მზის სხივი ვერ ატანს შიგ. ადამიანს არ შეუძლიან შიგ გაიაროს და გაატანოს. თუმცა ასე მშვენიერია ეს ტყეები ყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილოვანი მცენარეებით, მშვენიერი და ამასთანავე გასაოცარი თავიანთი სიდიდით, მაგრამ ამ ტყეებში ნაკლებათ არიან ფრინველები. ფრინველების ჭიკჭიკის და გალობის მაგივრათ ისმის ტყეში დამაყრუებელი კივილი თუთიყუშისა, წრიპინი ღამურეებისა, კივილი მაიმუნებისა და სხვა ცხოველებისა, რომლებიც არც ღამე სწყვეტამენ ამ კიჟინსა. მაგრამ თუმცა ნაკლებათ არიან, ვინემ ჩვენ ტყეებში, მგალობელი ფრინვლები, იქ ისე უხვათ არიან პირუტყვები, რომ წამოსადგენათაც ძნელია. ხედავ როგორ მაიმუნი ერთი ტოტიდგან მეორეზე გადახტება, ზურგზე ასხედან მაგრა მიტკუცულები ერთი-ერთმანეთზე შვილები. ხტუნაობის დროს ერთი ხიდგან მეორეზე, ერთი ტოტიდგან მეორეზე, მაიმუნი შოულობს საჭმელს და არას დროს არ გაუშვებს შემთხვევას ხელიდგან საჭმლის მოსაპოვებლათ. ხის ქერქებიდგან ამოიღებს, ამოფხეკს რაც კი რამ იქნება, არ გაუშვებს გაფრენილ პეპელას და სხვა ჭია-ჭუას დაუჭერელს. ხედავ თუთიყუშს, რომელიც დახტის და კვნეტს ხილებს. ხედავ ძირს ტოტზე დაკიდებულს ზარმაცს ცხოველს. მისი გაჯარსავით ხმელი ბანალი მოაგონებს კაცსგამხმარ ბალახს; ფეხები აქვს მოკლეები, თითონ სულ მთლათ უშნო და უმგზავსია, საკვირველი არ არის, რომ დაჰზარდეს თავისი ლეშის ტარება, მთელ საათებს ატარებს გამოყრუებული ზარმაცი Сრთსა და იმავე ადგილას; თუ მოჰშივა იქვე თავის ახლო რაც მოხვდება სულ ერთიანათ მოსთხრის და მაშინვე ავა ხეზე, როდესაც ძირს აღარა დარჩებარა; ხედავ როგორ მოემზადა შხამიანი გველი ბაყაყის შესაჭმელად. აგერ რამდენი ხანია დგას და თვალ-მოუშორებლათ უცქერის საწყალ ბაყაყს. ბაყაყი სულ დაიფანტება, ველარას იგებს, ის ფეხს არას ძრავს ერთი ალაგიდამ და მერმე გაუგებრად ეცემა გველს. გველსაც ის უნდა: დაიჭერს და ლამაზათ შეექცევა. ყველა მხეცებზე საშინელია იაგუარი, რომელიც არ აძლევს მოსვენებას ტყეში მცხოვრებ მხეცებს. (იაგუარი-ვეფხვის მსგავსი ცხოველია) ის ძიელ კარგა ხედავს, სუნის ღება იცის და ამასთანავე ფრიად ღონიერია: ვერა ცხოველს ვერ შეუძლიან იმას გაუმკლავდეს. რომ დაინახავს მომავალ პირუტყვსა, ამოეფარება ბუჩქს, ადევნებს თვალს და ელის, როდის მოვა ახლო. ის წევს განაბული მიწაზე კატასავით, როდესაც ის თაგვის დასაჭერათ ემზადება. წინა ტანი მიწაზე აქვს გაკრული, თვალებს არ აშორებს თავის მსხვერპლს და კუდს ძაღლივით აქეთ-იქით იქნევს, აცანცარებს და ეგონება ადამიანს აი ეხლა ეცემა თავის მსხვერპლს და თან გაიტანსო. როდესაც შეატყობს, რომ ეხლა კი ველარსად წამივა ჩემი შესაჭმელიო, ეცემა, ამოიდებს ქვეშ და აბა, რაღა კეთილს დააყრის საწყალ მხეცს

(შემდეგი იქნება).

---

## გადამდები ყვავილი.

(გაგრძელება.)

როგორც წარსულ №-ში მოვიხსენეთ ეხლა ლონდონში ძალიან არის ყვავილი. ვინც აცრილები არიან, იმათ იშვიათად ხვდებათ და თუ ხვდებათ ვისმეს ზარალი არ აქვს ისე, რომ აცრილებში ასში ერთი კვდება. აუცრელებში კი ასში ოცდა თექვსმეტი კვდება; მაშასადამე აცრა კაცის სიცოცხლის დამცველი ღონის-მიებაა.

ეხლა ჩვენ უნდა დავხსნათ ერთი შესანიშნავი კითხვა: ჭკარგავს, თუ არა აცრილი ყვავილი თავის დამთვარველ, ანუ გადამარჩენელ ძალას, ესე იგი, აცრის შემდეგ შეეურება კიდევ კაცს, თუ არა? უკეთესნი გამოცდილნი ამ სენისა სდგანან იმ აზრზედ, რომ თუ ყვავილი კარგად და რიგიანად აუცრეს ყმაწვილს, ესე იგი, თუ მკლავი კარგა ღრმად გაუჭრეს ნესტრით და შიგ ჩაუშვეს კარგი ჩირქი, ან როგორც მსწავლულები ეძახიან, ყვავილის შხამი, რომ ამ ჩირქმა გაიაროს მთელ კაცის სხეულში, თუ კარგად მოხვდება გვამს, მაშინ გამოჩნდება; ბლომად გამოყრის ტანზედ და მასუკან კაცის გვამი აღარ მიიღებს ამ ავათმყოფობას, როგორც მაშინ, როდესაც აუცრელად შეხვდრია და მოუხდია. საუბედუროდ, ხანდისხან სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, ყვავილს კარგად ვერ აუცრიან ხოლმე; რასაკვირველია ამ გვარად აცრილს ჩირქი ვერ გაუვლის ტანში და არ გამოაჩნდება. მშობლებს კი უხარიანთ, რომ იმისმა კოლამ და მაშამ ადვილად მოიხადეს სასიხარულო კი არა, თუ პატარა მოივიქრება აქვთ მშობლებს, სატირელი და თავში საცემი საქმეა. ამ გვარად აცრილს კიდევ გაუმეორდება ყვავილი და მოხდება, რომ თანაც გაიტანოს. მაშინ ღმერთს დაბრალებენ, რომ ის მათ სჯის რადაც საიდუმლო საქმეზედ. მოუწოდებენ ღვთის მშობელს თავის მველი ხატებით და ევედრებიან, როდესაც, რომ ეს შემთხვევა იმათზედ თავის დღემდისაც არ არის დამოკიდებული, არამედ ამის მიზეზი არის ისა, რომ კარგად ვერ აუცრევინებიათ. ვინც შეატყობს, რომ იმის შვილს არ გამოაჩნდა ყვავილი, მაშინ უნდა მეორეთ აცრევინოს, თუ გულით სურს, რომ მწუხარება არ ნახოს. მალიან სასურველი და კარგი იქნება რომ ყველამ, ვისაც ერთხელ აუცრია, მეორეთაც აიცრას. მაშინ აღარაფერის დარდი აღარ ექნება, რადგანაც მეორეთ აცრით სრულებით მოიშორებს. უფრო კარგი დრო მეორეთ ყვავილის აცრელათ მათვის, ვისაც ბავშობაში აუცრეს არის თორმეტიდგანოც წლამდინ. როდესაც, ვსთქვათ, გაჩნდება გადამდები ყვავილი, მაშინ იმ კაცმა, რომელსაც ჭუავს სახლში ავათმყოფი ამ გვარი სენისაგან, უნდა უეჭველად აიცრას, თუ აცრილი არა ყოფილა. აი სულ, რაც ვიცით ჩვენ შესახებ იმ ერთი ღონისმიებებთაგანისა, რომელიც არჩენს კაცს გადამდები

უვავილისაგან. თუ ამ ღონისძიებას, ესე იგი აცრას, ჯერ-ჯერობით ყველგან არ ხმარობენ ეს გვიჩვენებს ჩვენი ხალხის გაუნათლებლობას.

ახლა ვკითხოთ ჩვენ თავს, რა უნდა ვქნათ, რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, როდესაც გაჩნდება გადამდები უვავილი, რომ მალე შევაყენოთ მისი მალა? იმედია, რომ, თუ რაც ზემოთ მოვიხსენეთ, იმას აასრულებთ, მაშინ დიდ მალას ვერ მოიცემს ეს სენი და მალე მიუჩდება. გარდა მაგისა აი როგორი ღონისძიებები შეიმლება ვიხმაროთ თვითონ ჩვენ: რომ მალე შევსწყვიტოთ, უნდა ვეცადოთ, რომ ყველამ აიცრას. ვინც კიდევ არ აიცრის, ან არ უნდა აცრა იმას მალათ უნდა აუცრან. ეს საქმე უნდა ითავონ თვითეული სოფლის მოხელეებმა. დიდი ჯაფა არ მოუნდებათ ამის გულისთვის. აცრა ბევრმა იცის. როდესაც შეხვდება ვისმეს აუცრელს უვავილი, მაშინვე ავათმყოფის პატრონმა უნდა შეატყობინოს მოხელეებს და მოუწოდონ მცრელს. აცრევინონ, რომ გადამდები უვავილი არ გაჩნდეს. ქართლში, მომეტებულ ნაწილად ოსები, ცრელები დადიან; ბავშვზე მე თითონ კარგად ვიცი, ერთ ქათამს იღებენ, ან ვისაც ფული აქვს საშაურს მისცემს. აბა საშაურათ და ან ერთ ქათმათ, რომ მოარჩინოთ შვილი მეტი რაღა გინდათ.

როდესაც ავათ გახდება ვინმე გადამდები უვავილით, მაშინ ავათმყოფის საწოლი უნდა სუფთათ შეინახოთ, თუ მეტი სახლი ექნებათ სადმე-იქ გაიყვანონ. მომვლელად უნდა ჰყავდეს იმისთანა პირი, რომელსაც აცრით მოუხდია უვავილი. სახლიდგან, რაც რამ კი იქნება: ტანი-სამოსი, თოკები, ქაღალდები და ან სხვა რამე ნივთები, უნდა გაიტანონ ამ შემთხვევის დროს, ამიტომ, რომ უვავილის შხამი, როგორც გადამდები სენი, ყველა ნივთზე გადადის და აქედან, რასაკვირველია, კაცს შეეყრება. უფრო კარგი იქნება, რომ ამ გვარი ნივთები, როგორც შემდეგში ვნების მომტანი, დასწვან ცეცხლში.

მველ დროებაში, როგორც მოგვითხრობს საღმთო წერილი, უვავილის გვარი სენი იცოდა ხშირად. ამ სენს ეძახდნენ წყლულებას (*проказа*). მუწუკად გამოსდიოდა, როგორც უვავილი და მთელ ტანს უფარავდა. მერე, დროს განვალობაში, ტანი ულპებოდა, ხორცი თავის თავად ცვიოდა მირს, თავზე ბანალი სცვიოდა და ამ გვარად ზეზეურად ცოცხალი კაცი უროლდებოდა და ამისგამო სხვასაც ხვდებოდა. საღმთო წერილში, მაგალითებრ, ლევიტელთ წიგნში, არის რჯულები, რომლების მალითაც ამგვარ სენიანს კაცს სოფელს და სახლს აშორებდნენ. მშორებით უშენებდნენ საკუთარ სახლს და იქ აცხოვრებდნენ. აი ამ ნაირად, რომ მოვიქცეოდეთ ეხლა ჩვენც გადამდები უვავილის გაჩენის დროს, მალიან დიდ სარგებლობას მოუტანთ ხალხს, მაგრამ დედები იტყვიან: «უიმე! როგორ უნდა მოვიშორო შვილი თვალიდგან! «განა ცალკე არ მორჩება. იქ უფრო მორჩება, რადგანაც სოფლის გარეთ, ან, ვსთქვათ, ცალკე სახლში, გაფუჭებული ჰაერი არ იქნება. მაშასადამე ვეცადნეთ, რომ როცა გაჩნდეს უვავილი ზემოხსენებული ღონისძიებები ვიხმაროთ, რომ ისე არ გაიქლიტოს, უმისოთაც ცოტა ქართველობა, როგორც ეხლა ლონდონში იქლიტება.

---

## შეიმლება პირუტყვებით გაიგოს კაცმა როგორი დარი იქნება?

მაშინ კარგს დარს უნდა მოველოდეთ, როდესაც წვიმის დროს ბუები, ანუ ბუკნაჭოები ყვირიან, როდესაც ტოროლები და საზოგადოთ ყველა წვრილფეხი ფრინველები ძალიან მაღლა ფრინავენ და ამასთანავე ბევრს და მხიარულათ გალობენ; ბულბულები გათენებამდინ არ სწყვეტენ თავიანთ მშვენიერს გალობას, მოლაღურები, ჩხართვები და შაშვები დიდის მხიარულის ხმაურობით მიფრინავენ ჰაერში ძალიან მაღლა, ღამურები დილითაც და საღამოთიც ადრე გამოდიან საბუდრებითგან, ციცინათელები ძალიან ბრწყინავენ, ჩვეულებრივი ბაყაყები გუბეებში ყიყინებენ და მწვანე წყლის ბაყაყები გამოდიან ნაპირებზე და იქ დიდ ხანს რჩებიან, წურბელები მოსვენებით იმყოფებიან გუბის ძირში; ცხვრები და ბატკნები თამამათ და მხიარულათ დახტიან საძოვრებზე, ნაგავის ბუზანკლები გზებზე გამოდიან, ყვავები და ჭილყვავები, ანუ ლალღები ბევრნი ქუჩდებიან მინდვრებზე და ყვაყვავებენ, ბეღურა ჩიტები ბუდეებს აშენებენ; ტყის გვრიტი ხალისიანათ და სასიამოვნოთ ღუღუნებს ტყეში. საღამოზე, ნახირი რო მოირეკება მინდვრებიდგან, უშიშრათ დაეყრება გარეთ ეზოში ცის ქვეშ, მზის ჩასლვის შემდეგ აირევიან მუმლები და კოღოები, კატები ფეხებს ილოკვენ და ფრინველები იქექებიან.

ავდარს კიდევ მაშინ უნდა მოველოდეთ, როდესაც ყვავები და ყორნები მაღლა ფრინავენ და თავები სწორეთ უჭირავთ, წყალს ეძებენ და შიგ ჰყოფენ თავებს, მერცხლები სადგომი სახლების ახლო მაღლა დაფრინავენ და წყალში ევლებიან, მტრედები წყალში ბანაობენ და სახლში გვიანობამდინ არ მოდიან. ისაც ავდრის ნიშანია, როდესაც ყარყატები ბუდეებში ჰფარავენ თავის ბარტყებს.

ისაც ავდრის ნიშანია, როდესაც წეროები და ძერები ყვირიან კარგი დარის დროს და შინაური ფრინველები და ჭილყვავები ქვიშაში ეყრებიან და იქექებიან. კიბორჩხალები ნაპირებზე გამოძვრებიან. უნდა მოველოდეთ, რომ წვიმა დიდხანს იდენს მაშინ, როდესაც ძაღლები ბალახს ძოვნას დაუწყებენ და კატები დიდხანს ილოკვენ ფეხებს და პირზე ისომენ, ანუ—სწორეთ ვსთქვათ—პირს იბანენ; ქათმები უდრო—უდროოთ მაღალის ხმით კაკანებენ და წვიმას არ ერიდებიან;

მიწის ჭიები (ჭიანყელები) გარეთ გამოძვრებიან. ჭინჭველები ეშურებიან თავიანთ ადგილებში, მუმლები, ჩრდილში იჩევიან და კოლოებიც სახლებისკენ იწევენ და ძალიან იკბინებიან; ბუზები კაცებს ზედ ეკვრებიან, მეთევზეების კავებს თევზები არ ედებიან. მალე დაიწყობს წვიმას მაშინ, როდესაც საძოვარზე გასული საქონელი მიბრუნდება შუადღის მხრივ, ცხვირის ნესტოებს იბერავს და, ან წვებიან და ან კიდევ ხშირად ილოკებიან; კიდევ მაშინ, როდესაც ღორები პირიდგან საჭმელს ფანტავენ, ცხვრები შინ რომ მივლენ, ჭამას თავს არ ანებებენ და თავის სადგომებში უნდომელათ შედიან, დაჭერილი წურბელები ზევ—ზევით იძაბებიან. თუ ძალიან სიცხეში ძაღლები მოუსვენრათ არიან, აქა-იქ დარბიან, ერთათ იკრიბებიან და გამგელებულები გლეჯენ ბალახს, მაშინ უთუოთ წვიმაც მოვა და ელვა—ქუხილიც იქნება. ჭექა-ქუხილი მალე მოსწყდება, თუ რომ ფრინველები იწყებენ წყალზე ფრენას, და თევზები ზევ—ზევით ცურვას, ბეღურა ჩიტები მხიარულათ ჭიკჭიკს და თავის ბუდეებიდგან ნისკარტს გამოჰყოფენ.

თუ რომ წურბელებს შევატყობთ, რომ ისენი წყლითგან გამოსვლას ცდილობენ და ამასთანავე ძალიან იკლაკნებიან, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ავდრები დიდხანს გასტანენ. ეგრეთვე მაშინაც, როდესაც ფუტკრები ადრე გავლენ სანადიროთ და შუადღისას ჯგუფ-ჯგუფათ მოფრინდებიან თავიანთ სკებში.

ყველაზე უფრო ცხადათ შეატყობენ ბებერებს, ანუ ობობაებს, კარგი დარი იქნება თუ ცუდი. ამას იმითი ხსნიან, რომ ობობის სველი მუცელი ძალიან გრძნობს ჰაერის ცვლილებას, იმისი სუსტი გრძელი ფეხები ადვილათ იგებენ, როგორც ჰაერის სიხმელეს, ეგრეთვე სინოტივეს. ამის გამოსაკვლევლად უნდა აარჩიონ, რაც შეიძლება, მსხვილი და ბებერი ობობები, იმათ ყური უნდა ადევნონ, მაგრამ ახლო კი არ უნდა მიეკარნენ. თუ რომ ისინი შეიკრიბებიან ერთად ბევრნი და ერთგულათ დაიწყებენ მუშაობას, თუ ღამე, ახალ ახალ აბლაბუდეებს ამზადებენ და თუ პატარა ობობაები გამოჰყოფენ თავებს და ფეხებს გან-გან სდგამენ, მაშინ კარგი დარი იქნება. როდესაც ისინი ერთად ცოტანი იქნებიან და სუსტათაც იმუშავებენ, მაშინ დარი ხან კარგა იქნება და ხან ცუდი, ესე იგი, მალმალ გამოიცვლება. მაშინ კი უთუოდ წვიმა მოვა, როდესაც ისინი მუშაობას სრულებით თავს დაანებებენ და წვრილი ობობაები შევლენ თავიანთ აბლაბუდეებში, თავს კუთხისკენ დაიჭერენ და ისე მიიკუნჭებიან. მაშინ კიდევ ჭექა-ქუხილს უნდა ველოდეთ, როდესაც ობობა დასწყვეტს გაბმულს აბლაბუდეს, თითონ ავა ზევით და კუთხეში სადმე მიიკუნჭება; თუ კიდევ აბლაბუდა სულ არ დაგლიჯა, მაშინ ქარი ამოვარდება, მაგრამ ისევ მალე კი გადავარდება; თუ ობობაები, რომლებიც ზამთარს სახლებში ატარებენ, აქა-იქ დარბიან და მზათ გაკეთებულს აბლაბუდაებს ეძებენ; ან თუ ახალ აბლაბუდეებს აშენებენ და ღამით რამდენსამე ზედი—ზედ ამზადებენ, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ სიცივე დადგება. თუ კიდევ ძველს აბლაბუდას შლის და ახალს აკეთებს, მაშინ ეს იმის ნიშანია, რომ დარი დიდხანს არ გამოიცვლება და ერთ-ნაირი იქნება; თუ ერთ-ნაირი დარი ხუთ დღეზე მეტს არ გასტანს, მაშინ აბლაბუდების შუა ბლომათ ადგილი იქნება დარჩენილი, და თუ ცოტა ადგილია იმათ შუა დარჩენილი, მაშინ კარგი დარი ერთ კვირაზე მეტს გასტანს. თუ ობობა მიიკუნჭა სადმე კუთხეში და აღარ გამოდის, მეორე დღეს უსათუოდ ან ქარიანი და ან წვიმიანი დღე იქნება. თუ კიდევ ობობა ათვალიერებს და ასწორებს თავის აბლაბუდას, მაშინ კარგი დარი გამოვა, მაგრამ თუ ამასთანავე აკერებს ის იმას, მაშინ კარგი დარი დიდხანს არ გასტანს. ერთმა რუსის გლეხმა მოახდინა ერთხელ გამოცდილება: იმან დაიჭირა ორი ობობა, ერთი შიგნით დასო ფანჯარაში და მეორე გარეთ. ამან შენიშნა: როდესაც ის ობობა, რომელიც შიგნით ფანჯარაში იყო, თავის ბუდეში არ იკუნჭებოდა და თავი გამოსასვლელი ადგილისკენ ეჭირა, მაშინ ცუდი დარი გამოვიდოდა, მაგრამ დიდხანს კი არ გასტანდა; თუ რომ ის მიიკუნჭებოდა იქ და თავსაც შიგნითკენ იქმოდა, მაშინ ცუდი დარი დიდხანს გასტანდა. წყნარი უქარო დარის წინა დღით ის ობობა, რომელიც გარეთგან იყო ფანჯარაში, აბლაბუდებს ხშირათ ბადესავით აბამდა. ქარიანი დარის წინა დღით ის მეტს აბლაბუდეებს ერთად აგროვებდა და რაც ბევრს შეაგროვებდა, იმოდენათ მეტათ ქარიანი დღე გამოვიდოდა. ამაში ეჭვი არ არის, რო ობობა იმისთვის აგროვებდა, რომ ეშინოდა ჩემი ნამუშავარი ძრიელმა ქარმა არ გამიფუჭოსო.

ყველა ამასთან ისაც არ უნდა დავივიწყოთ რომ ობობაები (ფეიქარაები) იტყობენ იმ დარს, რომელიც მალე იქნება, რაც შეეხება იმ დარს, რომელიც ძალიან გვიან იქნება, იმათ იმისი გაგება არ შეუძლიანთ.

---

**სახელმწიფო რჩევის აზრი:**

## მმართებლობის განკარგულება

იმაზე თუ როგორ უნდა დაამტკიცდან იმ შინაური განაჩენების სინამდვილე, რომელნიც, ხელისმოწერის მაგიერად, ბეჭდების დასმით არიან დამოწმებულნი.

1) სახელმწიფო რჩევამ, როგორც დროებითი განკარგულება, დაადგინა შემდეგი: თუ ვალის მქონენი გამოაცხადებენ იჭვნეულობას შინაურ განაჩენების სინამდვილეზე, რომელნიც, ხელის მოწერის მაგივრად, ბეჭდის დასმით არიან დამტკიცებულნი, მაშინ მოვალეებმა უნდა დაამტკიცონ იმ განაჩენების სინამდვილე წესისამებრ, რომელიც დანიშნულია 107 და 547 მუხლებში სამოქ. სასამ. წარმ. კანონ.

2) იმ წესდებულების ძალა, რომელიც პირველ მუხლშია მოხსენებული, შეეხება იმ შინაურ განაჩენებსაც, რომელნიც არიან ნაჩვენებნი 221 მუხლში სასამ. კანონ. (იხი. მეათე ტომი პირველი ნაწილი). ამ წესდებულების გამოცხადების დღიდამ ეს განაჩენები სამი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ ნოტარიუსებს, ანუ მომრიგებელ მოსამართლეს და ან ამის თანაშემწეს.

---

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Января 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.